ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა

ოქმი № 12

ქ. თბილისი, 18 ივნისი, 2026 წელი

სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა მერაბ ხოხობაიამ
ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი
სხდომას ესწრებოდა 25 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი

1. *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ;*
   /ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

   1. **ნია ნადარეიშვილი** - „ხელოვნური ინტელექტის გავლენა სამშენებლო პროექტების მართვის ეფექტიანობაზე". მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი;
   2. **გიორგი მესხი** - „ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ციფრული შესყიდვების ავტომატიზაციის სრულყოფა". მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თეა მუნჯიშვილი;

2. *ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ მარიამ ბერიძის მეცნიერ-ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ;*
   /ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

   ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **მარიამ ბერიძის** მეცნიერ ხელმძღვანელად ეკონომიკის დოქტორის მირონ ტუღუშის ნაცვლად, დამტკიცდეს ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი;

3. *ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ;*
   /ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/

4. *მიმდინარე საკითხები*

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, ასოცირებული პროფესორ მერაბ ხოხობაიას ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: **დამტკიცდეს** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2026 წლის 18 ივნისის #12 სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: 1. *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ;*
/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს განსახილველად წარუდგინა სადისერტაციო თემები და ხელმძღვანელები:

1. **ნია ნადარეიშვილი** - „ხელოვნური ინტელექტის გავლენა სამშენებლო პროექტების მართვის ეფექტიანობაზე". მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი;
2. **გიორგი მესხი** - „ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ციფრული შესყიდვების ავტომატიზაციის სრულყოფა". მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თეა მუნჯიშვილი;

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ, პროფესორმა რ. გველესიანმა, პროფესორმა ე. ხარაიშვილმა, პროფესორმა დ. ნარმანიამ.
ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე 25
მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: **დამტკიცდეს** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტების სადისერტაციო თემები და მეცნიერ-ხელმძღვანელები შემდეგი სახით:

1. **ნია ნადარეიშვილი** - *„ხელოვნური ინტელექტის გავლენა სამშენებლო პროექტების მართვის ეფექტიანობაზე“.* მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი;
2. **გიორგი მესხი** - *„არასაჯარო სექტორში ციფრული შესყიდვების სრულყოფის ტენდენციები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით“* . მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თეა მუნჯიშვილი;

მოისმინეს: 2. *ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ მარიამ ბერიძის მეცნიერ-ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ;*

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს განსახილველად გააცნო საკითხი დოქტორანტ მარიამ ბერიძის (ხელმძღვანელი მირონ ტუღუში) ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ. არსებული რეგულაციების მიხედვით, დოქტორანტის მეცნიერ ხელმძღვანელი უნდა იყოს აკადემიური პერსონალი. ვინაიდან მირონ ტუღუში აღარ არის ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალი, მიზანშეწონილია განხორციელდეს ცვლილებაც. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილის კანდიდატურა, რათა ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **მარიამ ბერიძის** მეცნიერ ხელმძღვანელად ეკონომიკის დოქტორის მირონ ტუღუშის ნაცვლად, დამტკიცდეს ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი;

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს
ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 25
მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **მარიამ ბერიძის** მეცნიერ ხელმძღვანელად ეკონომიკის დოქტორის მირონ ტუღუშის ნაცვლად, ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი;

მოისმინეს: 3. ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ;

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,
ასოცირებული პროფესორი, მ. ჩავლეიშვილი/

მოისმინეს: **3.1.** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის მ. ჩავლეიშვილის ინფორმაცია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **ბაკალავრიატის** *საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“* საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ (საბჭოს წევრებს წინასწარ გაეგზავნათ მასალები საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შესახებ)

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“ (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი №77)

➢ <u>ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსის განახლება/მოდიფიცირება.</u>

• **ცვლილების აღწერა:** სასწავლო კურსის სილაბუსებში განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ, განახლდა თემატიკა, ლიტერატურა, შემდეგ სილაბუსებში:

✓ **“დასაქმება და შრომის ბაზრის რეგულირება“** (მოდული ,,შრომის ეკონომიკა“, სავალდებულო სასწავლო კურსი);

✓ **„შრომის ეკონომიკა“** (საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი);

✓ **„შრომის ანაზღაურება“** (მოდული ,,შრომის ეკონომიკა“, სავალდებულო სასწავლო კურსი);

✓ **“შრომითი მიგრაცია“** (მოდული ,,შრომის ეკონომიკა“, სავალდებულო სასწავლო კურსი);

✓ **„სოციალური პოლიტიკა“** (მოდული ,,შრომის ეკონომიკა“, სავალდებულო სასწავლო კურსი);

✓ **„მოსახლეობის ეკონომიკა“** (მოდული ,,შრომის ეკონომიკა“, სავალდებულო სასწავლო კურსი);

საფუძველი: სასწავლო კურსის სილაბუსების განახლება და უფრო მეტად დაახლოება თანამედროვე აკადემიურ და პროფესიულ მოთხოვნებთან.

➢ <u>ცვლილება: თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსის დამატება</u>

• **ცვლილების აღწერა:** კურსდამთავრებულებისთვის თანამედროვე პრაქტიკული ანალიზის უნარებისა და სასწავლო კურსების არჩევანის გაფართოების მიზნით, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას „ეკონომიკა“ დაემატა თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები: **„სოციალურ-შრომითი ურთიერთობა“** (5 კრედიტი, სილაბუსის ავტორები: პროფესორი მ. ტუხაშვილი, ასოცირებული პროფესორები: მ. შელია, მ. ცარციძე); **„ცირკულარული ეკონომიკა“** (5 კრედიტი, სილაბუსის ავტორები: ასოცირებული პროფესორები: ნ. კაკულია, მ. ჩიქობავა);

საფუძველი: პროგრამის გაფართოება არჩევითი კურსების შეთავაზებით.

➢ <u>ცვლილება: პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში ავტორებისა და წამკითხველი ლექტორების ცვლილება</u>

• **ცვლილების აღწერა:** ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასევე საკუთარი სურვილით სასწავლო პროცესს ჩამოშორდა რამოდენიმე პედაგოგი, რამაც გამოიწვია სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება, ავტორებისა და წამკითხველი ლექტორების ცვლილება. აღნიშნული ცვლილება შეეხო შემდეგ სასწავლო კურსებს:

• **„შრომის ანაზღაურება"** (მოდული „შრომის ეკონომიკა", სავალდებულო სასწავლო კურსი, სილაბუსის ავტორებიდან ამოღებულია ნ. ლაცაბიძე);

საფუძველი: სამსახურიდან წასვლა საკუთარი სურვილით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს
ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 25
მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: **დამტკიცდეს** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ეკონომიკა** (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული **დანართი №77**) წარმოდგენილი ცვლილებებით.

მოისმინეს: **3.2** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის მ. ჩავლეიშვილის ინფორმაცია თსუ **ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა" (ინგლისურენოვანი)** ცვლილებების შესახებ (საბჭოს წევრებს წინასწარ გაეგზავნათ მასალები საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შესახებ)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა" (ინგლისურენოვანი) (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №274):

✓ *<u>ცვლილება:</u>* <u>**სასწავლო კურსების „მანქანური სწავლება 1", „მანქანური სწავლება 2" და „კანონი და ეკონომიკა" სტატუსის ცვლილება**</u>

✓ **ცვლილების აღწერა:** არსებული სასწავლო კურსები „მანქანური სწავლება 1", „მანქანური სწავლება 2" და „კანონი და ეკონომიკა" პროგრამის ფარგლებში

არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსით ნაცვლად ისწავლება თავისუფალი არჩევითი კურსის სტატუსით, შეიცვალა სწავლების სემესტრიც:

- ✓ მანქანური სწავლება 1 - მე-5 სემესტრი
- ✓ მანქანური სწავლება 2- მე-6 სემეტრი
- ✓ კანონი და ეკონომიკა- მე-5 სემესტრი

გარდამავალი პერიოდის უზრუნველყოფის მიზნით, სტუდენტებს, რომელთაც სასწავლო კურსები „მანქანური სწავლება 1“, „მანქანური სწავლება 2“ და “კანონი და ეკონომიკა” უკვე გავლილი და ჩაბარებული აქვთ თავისუფალი კრედიტის სტატუსით, აღნიშნული კურსები ჩაეთვლებათ თავისუფალ კრედიტად. ხოლო სტუდენტებისთვის, რომლებიც ამ კურსებს აირჩევენ 2026–2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან, კურსები იქნება ახალი - არჩევითი სასწავლო კურსის - სტატუსით.

საფუძველი: აღნიშნული სასწავლო კურსების ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მიზნებსა და არასავალდებულო კომპონენტების შინაარსთან თავსებადობა. სასწავლო კურსებისთვის „მანქანური სწავლება 1“, „მანქანური სწავლება 2“ და „კანონი და ეკონომიკა“ არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსის მინიჭება განპირობებულია მათი შინაარსობრივი კავშირით ეკონომიკის პროგრამის სწავლის შედეგებთან და დარგობრივ კომპეტენციებთან. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, აღნიშნული კურსები თავისი შინაარსითა და კომპლექსურობით სცდება თავისუფალი არჩევითი კურსების ფორმატს, ვინაიდან მოითხოვს ეკონომიკის, მათემატიკის, სტატისტიკისა და ანალიტიკური აზროვნების მიმართულებით წინასწარ ჩამოყალიბებულ ცოდნასა და უნარებს, რომელსაც სტუდენტები პროგრამის პირველი ორი წლის განმავლობაში იძენენ. შესაბამისად, კურსების სწავლების უფრო მაღალ სემესტრებში გადატანა უზრუნველყოფს სტუდენტთა უკეთეს მზაობას და უფრო ეფექტურს გახდის სწავლის შედეგების მიღწევას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს
ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 25
მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: **დამტკიცდეს** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) **ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“ (ინგლისურენოვანი)** (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №274) -წარმოდგენილი ცვლილებებით.

მოისმინეს: **3.3** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის მ. ჩავლეიშვილის ინფორმაცია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **მაგისტრატურის** *საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“* საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ (საბჭოს წევრებს წინასწარ გაეგზავნათ მასალები საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შესახებ)

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“ (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი №80)

➢ <u>ცვლილება: პროგრამის სავალდებულო კომპონენტებში (სასწავლო კურსები) განხორციელებული ცვლილება</u>

- **ცვლილების აღწერა:** პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებიდან ამოღებულია სასწავლო **„კვლევითი პროექტი“** (5 კრედიტი);

საფუძველი: მინისტრის ბრძანებით და უმაღლესი განათლების კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, შესაძლებლია გაკეთდეს არჩევანი და აღარ არის ვალდებულება „კვლევითი პროექტის“ შესრულება. პროგრამა ითვალიწინებს მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას.

➢ <u>ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსებში წინაპირობის ცვლილება</u>

- **ცვლილების აღწერა:** განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ,

✓ **წინაპირობა მოეხსნა:** სავალდებულო სასწავლო კურსებს: **„სტატისტიკური ანალიზი ტურიზმში“ და „საჯარო ფინანსების სტატისტიკა“; „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა“; „მაკროეკონომიკური სტატისტიკა“** (კონცენტრაცია - „ეკონომიკური და ბიზნესის სტატისტიკა“);

✓ **„სოციალური სტატისტიკის მეთოდოლოგია”** და **„დემოგრაფიული სტატისტიკა“; „ცხოვრების დონის სტატისტიკა”, „საჯარო ფინანსების სტატისტიკა“; „სტატისტიკური მეთოდები სამართლის სფეროში“** (კონცენტრაცია: სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკა);

✓ **წინაპირობა განესაზღვრა:** სავალდებულო სასწავლო კურსს **„სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავება და ანალიზი MS SQL-ის გამოყენებით”** (სტატისტიკური ანალიზის მეთოდები), კონცენტრაციები: „ეკონომიკური და ბიზნესის სტატისტიკა“, სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკა);

✓ **პროფესიული პრაქტიკა** (5 კრედიტი, განესაზღვრა პროგრამის I ნაწილი, სემესტრი 2) შეიცვალა **პრაქტიკის არჩევის წინაპირობა** (30 კრედიტი - პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები); **პრაქტიკის დაცვის წინაპირობა** (პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის ჩაბარება (55 კრედიტის ათვისება);

✓ **სამაგისტრო ნაშრომი** (30 კრედიტი, პროგრამის II ნაწილი)- **სამაგისტრო** ნაშრომის **არჩევის წინაპირობა:** 90 კრედიტი, მ.შ. პროგრამის პირველი ნაწილის შესრულება (60 კრედიტი, მაგისტრის ხარისხი), პროგრამის მეორე ნაწილის 30

კრედიტი. **დაცვაზე დაშვების წინაპირობა:** სამაგისტრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის ათვისება (100 კრედიტი, პროგრამის პირველი ნაწილის ჩათვლით).
საფუძველი: მიმდინარე ცვლილებების ფონზე სასწავლო კურსის გადანაწილებისა და პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე წინაპირობების დაზუსტება.

➢ <u>ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებში ცვლილება</u>

- **ცვლილების აღწერა:** განისაღვრა პროგრამის II ნაწილზე მიღების წინაპირობა, კერძოდ:

✓ სამაგისტრო პროგრამის II ნაწილზე დაშვების წინაპირობაა პროგრამის I ნაწილის გავლა;

✓ საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. აღნიშნულ ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

საფუძველი: მიმდინარე ცვლილებების ფონზე სასწავლო კურსის გადანაწილებისა და პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე წინაპირობების დაზუსტება.

➢ <u>ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსის განახლება/მოდიფიცირება.</u>

- **ცვლილების აღწერა:** განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ, განახლდა თემატიკა, ლიტერატურა სასწავლო კურსების შემდეგ სილაბუსებში:

✓ **შრომის ბაზრის ეკონომიკა** (5 კრედიტი, მაკროეკონომიკის კონცენტრაცია, სავალდებულო კურსი);

საფუძველი: სასწავლო კურსის სილაბუსების განახლება და უფრო მეტად დაახლოება თანამედროვე აკადემიურ და პროფესიულ მოთხოვნებთან.

➢ <u>ცვლილება: სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილების შესახებ</u>

- **ცვლილების აღწერა:** სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილება განხორციელდა შემდეგ კურსებში:

✓ **საერთაშორისო დავალიანების სისტემა** (5 კრედიტი, იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო (კონცენტრაცია: საერთაშორისო ფინანსები, პროგრამის II ნაწილი);

✓ **საქართველოს ეკონომიკა,** (5 კრედიტი, იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო (კონცენტრაცია - საერთაშორისო ეკონომიკა, პროგრამის II ნაწილი);

✓ **საქართველოს ეკონომიკა,** (5 კრედიტი, იყო სავალდებულო კურსი და გახდა არჩევითი (კონცენტრაცია - ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორია, პროგრამის I ნაწილი);

✓ **საერთაშორისო ვაჭრობის მენეჯმენტი** (5 კრედიტი, იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო, კონცენტრაციები - საერთაშორისო ეკონომიკა, პროგრამის II ნაწილი);

✓ **ქცევითი ეკონომიკა** (5 კრედიტი, იყო სავალდებულო კურსი და გახდა არჩევითი (კონცენტრაცია - ციფრული ეკონომიკა, პროგრამის I ნაწილი);

✓ **სტრატეგიული მენეჯმენტი ციფრულ ეკონომიკაში,** გახდა სავალდებულო სასწავლო კურსი, 5 კრედიტი (კონცენტრაცია „ციფრული ეკონომიკა", პროგრამის II ნაწილი)

✓ **ეკონომიკის ფსიქოლოგია,** (5 კრედიტი, იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო, კონცენტრაცია - თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკა, პროგრამის II ნაწილი);

✓ **საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა,** (5 კრედიტი, იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო, კონცენტრაცია - თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკა, პროგრამის II ნაწილი);

✓ **ექსპერიმენტული ეკონომიკა,** (5 კრედიტი, გახდა არჩევითი სასწავლო კურსი, კონცენტრაცია - თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკა, პროგრამის II ნაწილი)

✓ **საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა** (5 კრედიტი, იყო არჩევითი და გახდა სავალდებულო სასწავლო კურსი, კონცენტრაცია: სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკა განესაზღვრა პროგრამის I ნაწილი);

✓ **საჯარო ფინანსების სტატისტიკა** (5 კრედიტი, იყო არჩევითი და გახდა სავალდებულო სასწავლო კურსი, კონცენტრაციები: სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკა კონცენტრაცია: ეკონომიკური და ბიზნესის სტატისტიკა, განესაზღვრა პროგრამის II ნაწილი)

✓ **შესავალი მანქანურ სწავლებაში – (**5 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსი გახდა სავალდებულო, კონცენტრაცია: ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა, პროგრამის I ნაწილი);

✓ **ეკონომიკური კრიზისების ევოლუცია,** (5 კრედიტი, იყო არჩევითი სასწავლო კურსი გახდა სავალდებულო, კონცენტრაცია: მაკროეკონომიკა, პროგრამის II ნაწილი);

✓ **ეკონომიკური განვითარება** (5 კრედიტი, იყო არჩევითი სასწავლო კურსი გახდა სავალდებულო, კონცენტრაცია: მაკროეკონომიკა, I ნაწილი);

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამაში მიმდინარე ცვლილებები, კერძოდ, პროგრამის ორ ნაწილად გაყოფა.

➢ <u>ცვლილება: პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში ავტორებისა და წამკითხველი ლექტორების ცვლილება</u>

- **ცვლილების აღწერა:** ჯანმრთელობის მდგომარეობის, გარდაცვალების ან საკუთარი ნებით სასწავლო პროცესს ჩამოშორდა რამოდენიმე პედაგოგი, რამაც გამოიწვია სილაბუსების განახლება, ავტორებისა და წამკითხველი ლექტორიების ცვლილება. აღნიშნული ცვლილება შეეხო შემდეგ სასწავლო კურსებს:

✓ **„მიკროეკონომიკური მოდელირება 1"** და **„მიკროეკონომიკური მოდელირება 2" (კონცენტრაცია: ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა,** მ. ჯულაყიძე შეიცვალა ასოც. პროფ. ნ. მიქიაშვილით);

✓ **„ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა" (კონცენტრაცია: ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია,** სასწავლო კურსის ავტორია რ. გველესიანი (რ. გველესიანი და გ. ბედიანაშვილი).

საფუძველი: პედაგოგის გარდაცვალება, სამსახურიდან წასვლა საკუთარი სურვილით ან ჯანმრთლობის მდგომარეობა, ახალი აკადემიური პერსონალის დამატება.

➢ <u>ცვლილება: კონცენტრაციებში ახალი/ან პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების დამატების (განაწილების) შესახებ</u>

- **ცვლილების აღწერა:** კურსდამთავრებულებისთვის თანამედროვე პრაქტიკული ანალიზის უნარებისა და სასწავლო კურსების არჩევანის გაფართოების მიზნით, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას „ეკონომიკა" დაემატა სასწავლო კურსები:

✓ **„მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია და ციფრული ეკონომიკური ტრანსფორმაცია",** სასწავლო კურსი დაემატა კონცენტრაციებს: საერთაშორისო ფინანსები, (5 კრედიტი, არჩევითი, პროგრამის II ნაწილი); საერთაშორისო ეკონომიკა (5 კრედიტი, სავალდებულო, პროგრამის II ნაწილი); ციფრული ეკონომიკა (5 კრედიტი, სავალდებულო, პროგრამის I ნაწილი); (კურსი არსებულია და განაწილდა ამ კონცენტრაციებისთვის)

✓ **„ეკონომიკური აზროვნება"** (კონცენტრაციები: საერთაშორისო ფინანსები (5 კრედიტი, სავალდებულო) საერთაშორისო ეკონომიკა (5 კრედიტი, სავალდებულო), ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორია (10 კრედიტი, სავალდებულო), ციფრული ეკონომიკა (10 კრედიტი, სავალდებულო), ბიზნესის ეკონომიკა (5 კრედიტი, სავალდებულო), ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია (5კრედიტი, სავალდებულო), სასწავლო კურსს ყველა კონცენტრაციისთვის განესაზღვრა პროგრამის II ნაწილი; (კურსი ახალია)

✓ **„ბიზნესის ეკონომიკა"** (5 კრედიტი, კონცენტრაცია საერთაშორისო ეკონომიკა (არჩევით), პროგრამის I ნაწილი; (კურსი არსებულია და განაწილდა ამ კონცენტრაციისთვის)

✓ **„მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია"** (5 კრედიტი, კონცენტრაცია „ციფრული ეკონომიკა", სავალდებულო სასწავლო კურსი, პროგრამის I ნაწილი); (კურსი არსებულია და განაწილდა ამ კონცენტრაციისთვის)

✓ **„ინტერესთა ჯგუფები და ლობიზმი თანამედროვე ეკონომიკურ პოლიტიკაში"** (5 კრედიტი, კონცენტრაცია: ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია, სავალდებულო კურსი პროგრამის II ნაწილი); (კურსი ახალია)

✓ **„აკადემიური წერა“** (5 კრედიტი, კონცენტრაციები: „ბიზნესის ეკონომიკა“ და „ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია“, არჩევითი საწავლო კურსი პროგრამის II ნაწილი); (კურსი იყო პროგრამის არჩევითი, ამჟამად განაწილდა კონცენტრაციისთვის)

✓ **„თანამედროვე სტატისტიკური ანალიზი რაოდენობრივ ფინანსებში“**(10 კრედიტი, კონცენტრაციები: „ეკონომიკური და ბიზნესის სტატისტიკა“ და „სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკა“ სავალდებულო საწავლო კურსი, პროგრამის II ნაწილი); (კურსი ახალია)

✓ **„ცხოვრების დონის სტატისტიკა“** (5 კრედიტი, სავალდებულო, კონცენტრაცია „ეკონომიკური და ბიზნესის სტატისტიკა“ სავალდებულო სასწავლო კურსი, პროგრამის I ნაწილი); (კურსი არსებულია და განაწილდა ამ კონცენტრაციისთვის)

✓ **„სოციალური სტატისტიკის მეთოდოლოგია“** (5 კრედიტი, სავალდებულო, კონცენტრაცია „ეკონომიკური და ბიზნესის სტატისტიკა“ სავალდებულო სასწავლო კურსი, პროგრამის I ნაწილი); (კურსი არსებულია და განაწილდა ამ კონცენტრაციისთვის)

✓ **„ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები“** (5 კრედიტი, სავალდებულო, კონცენტრაცია სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკა, განესაზღვრა პროგრამის II ნაწილი) (კურსი არსებულია და განაწილდა ამ კონცენტრაციისთვის)

✓ **„საერთაშორისო ეკონომიკის მოდელირება“** (5 კრედიტი, სავალდებულო, კონცენტრაცია: ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა, პროგრამის I ნაწილი; (კურსი არსებულია და განაწილდა ამ კონცენტრაციისთვის)

✓ „**მაკროეკონომიკური ანალიზი და დიაგნოსტიკა“** (5 კრედიტი, სავალდებულო, კონცენტრაცია: ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა, პროგრამის II ნაწილი; (კურსი ახალია)

✓ „**გამოყენებითი მაკროეკონომიკა“** (5 კრედიტი, სავალდებულო, კონცენტრაცია: მაკროეკონომიკა, პროგრამის I ნაწილი); (კურსი ახალია)

✓ „**მაკროეკონომიკური მონაცემების დამუშავება EXCEL-ის პროგრამით“** (5 კრედიტი, არჩევითი, კონცენტრაცია: მაკროეკონომიკა, პროგრამის II ნაწილი); (კურსი ახალია)

✓ „**ცირკულარული ეკონომიკის მოდელები“** (5 კრედიტი, პროგრამაში არსებული არჩევითი, კონცენტრაცია: მაკროეკონომიკა, პროგრამის I ნაწილი); (კურსი არსებულია და განაწილდა ამ კონცენტრაციისთვის)

✓ **„მდგრადი ფინანსები“** (5 კრედიტი, სავალდებულო, კონცენტრაცია: „ცირკულარული ეკონომიკა“, პროგრამის I ნაწილი); (კურსი ახალია)

✓ **„ურბანული განვითარება“** (5 კრედიტი, სავალდებულო, კონცენტრაცია: „ცირკულარული ეკონომიკა“, პროგრამის II ნაწილი); (კურსი ახალია)

✓ **„გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობა“** (5 კრედიტი, არჩევითი, კონცენტრაცია: „ცირკულარული ეკონომიკა“, პროგრამის II ნაწილი); (კურსი ახალია)

✓ **„მწვანე ინვესტიციები“** (5 კრედიტი, არჩევითი, კონცენტრაცია: „ცირკულარული ეკონომიკა“, პროგრამის II ნაწილი); (კურსი ახალია)

✓ **„მენეჯერული ეკონომიკა II“** (5 კრედიტი, არჩევითი, კონცენტრაცია: „ცირკულარული ეკონომიკა“, პროგრამის II ნაწილი);(კურსი არსებულია და განაწილდა ამ კონცენტრაციისთვის)

✓ **„მონაცემთა ანალიზი Python-ში“** (5 კრედიტი, სემესტრი 3, არჩევითი კურსი, ავტორები: ი. ანანიაშვილი, გ. კოხრეიძე) არჩევითი სასწავლო კურსი დაემატოს 2025 წლის მაგისტრატურის საგანმანთლებლო პროგრამაში, კონცენტრაცია „ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა“

საფუძველი: პროგრამის კონცენტრაციების გაფართოება ახალი და პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების შეთავაზებით.

➢ <u>ცვლილება: კონცენტრაციებში ახალი/ან პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების ამოღების შესახებ</u>

• **ცვლილების აღწერა:** საგანმანათლებლო პროგრამიდან ამოღებულია შემდეგი სასწავლო კურსები:

ა. „აკადემიური წერა“ (პროგრამის არჩევითი კურსი)

ბ. კონცენტრაციებიდან „ეკონომიკური და ბიზნესის სტატისტიკა“ და „სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკა“, ამოღებულ იქნა შემდეგი სასწავლო კურსები:

- საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკა(სავალდებულო);
- ეკონომიკური ზრდის თეორიები (არჩევითი);
- სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავება და ანალიზი MS Access გამოყენებით (არჩევითი);
- საქართველოს ეკონომიკა (არჩევითი);
- საერთაშორისო შრომითი მიგრაცია (არჩევითი);
- კეთილდღეობის ეკონომიკა II (არჩევითი);

გ. კონცენტრაციიდან „ცირკულარული ეკონომიკა“ სასწავლო კურსები:

✓ მაკროეკონომიკური მოდელირება (არჩევითი);

✓ მაკროეკონომიკური სტატისტიკა (არჩევითი);

✓ გარემოს დაცვის სამართალი (არჩევითი);

საფუძველი: სასწავლო კურსების ჩანაცვლება, პროგრამის კონცენტრაციების მოთხოვნადი ახალი სასწავლო კურსების შეთავაზებით. საბაკალავრო საფეხურზე სამთავრობო გადაწყვეტილებით ვალდებულებაა ქართული ენის სწავლება. გამომდინარე აქედან, ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე ჩაისვა სავალდებულო სასწავლო კურსი „ქართული ენა აკადმიური მიზნებისთვის“. პროგრამის ხელმძღვანელთა ერთობლივი გადაწყვეტილებით პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“ აღარ არის წარმოდგენილი.

➢ <u>ცვლილება: პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსების მოდიფიცირება და კრედიტების მოცულობის ცვლილება</u>

- **ცვლილების აღწერა:** კრედიტების ცვლილებები შეეხო პროგრამის შემდეგ სასწავლო კურსებში:

✓ **საერთაშორისო ფინანსების ისტორია** (სავალდებულო კურსი, კონცენტრაციები: საერთაშორისო ფინანსები, ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორია, იყო 5 ჯრედიტი გახდა 10 კრედიტი, პროგრამის I ნაწილი);

✓ **საერთაშორისო ფინანსები** (სავალდებულო კურსი, კონცენტრაცია: საერთაშორისო ფინანსები, იყო 10 კრედიტი გახდა 5კრედიტი, პროგრამის I ნაწილი)

✓ **„კეთილდღეობის ეკონომიკა II“** (სავალდებულო კურსი, კონცენტრაცია: „**ბიზნესის ეკონომიკა**“იყო 5 კრედიტი გახდა 10კრედიტი, პროგრამის II ნაწილი);

✓ **„მენეჯერული ეკონომიკა II“** (სავალდებულო კურსი, კონცენტრაცია: „**ბიზნესის ეკონომიკა**“იყო 5 კრედიტი გახდა 10კრედიტი, პროგრამის II ნაწილი);

✓ **„ეკონომიკური პოლიტიკის თეორია“** (სავალდებულო კურსი, კონცენტრაცია: ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია, იყო 5 კრედიტი გახდა 10 კრედიტი, პროგრამის II ნაწილი);

✓ **„თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“** (სავალდებულო კურსი, კონცენტრაცია: თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკა, იყო 5 კრედიტი გახდა 10 კრედიტი, პროგრამის II ნაწილი);

✓ **სამაგისტრო ნაშრომი,** განესაზღვრა 20 კრედიტი (იყო 25 კრედიტი)

✓ **შრომის ბაზრის ეკონომიკა,** განახლდა (5 კრედიტი, სავალდებულო) კონცენტრაცია „მაკროეკონომიკა“

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამაში მიმდინარე ცვლილებები, კერძოდ, პროგრამის ორ ნაწილად გაყოფა.

➢ <u>ცვლილება: პროგრამის სასწავლო კურსების სემესტრული ცვლილება</u>

- **ცვლილების აღწერა:** პროგრამის მიზნებიდან და შედეგებიდან, ასევე მიმინარე ცვლილებებიდან გამომდინარე განხორციელდა სასწავლო კურსებში სემესტრული ცვლილებები:

✓ **„კვლევის მეთოდები“,** 5 კრედიტი, სავალდებულო სასწავლო კურსს განესაზღვრა პროგრამის II ნაწილი;

✓ **„პროფესიული პრაქტიკა“,** 5 კრედიტი, სავალდებულო, განესაზღვრა პროგრამის I ნაწილი;

შენიშვნა: სემესტრული ცვლილება შეეხო კონცენტრაციების სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, რომელთა გადანაწილება წარმოდგენილია პროგრამის სტრუტურაში. (იხ პროგრამის სტრუქტურა)

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამაში მიმდინარე ცვლილებები, კერძოდ, პროგრამის ორ ნაწილად გაყოფა

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: **დამტკიცდეს** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **ეკონომიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ეკონომიკა** (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული, **დანართი № 80)** - წარმოდგენილი ცვლილებებით.

მოისმინეს: **3.4** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, მ. ჩავლეიშვილის ინფორმაცია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის *ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“* ცვლილებების შესახებ (საბჭოს წევრებს წინასწარ გაეგზავნათ მასალები საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შესახებ)

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი № 321)

➢ <u>ცვლილება: პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში საკონტაქტო საათების ცვლილება</u>

- **ცვლილების აღწერა:** პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში: **„უცხო ენა 1“, „უცხო ენა 2“** შეიცვალა საკონტაქტო საათები, კერძოდ იგი განაწილდა შემდეგნაირად: ECTS 5 კრედიტის 125 საათი; მათ შორის, **საკონტაქტო - 60 საათი;** (კვირაში 4 სთ. პრაქტიკული) და **65 საათი დამოუკიდებელი მუშაობა.**

საფუძველი: პროგრამის სასწავლო კურსებში საკონტაქტო საათების კორექტირება, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის საათების ოპტიმიზაცია.

➢ <u>ცვლილება: სასწავლო კურსის დამატება/ ჩანაცვლება.</u>

- **ცვლილების აღწერა:** კურსდამთავრებულებისთვის თანამედროვე პრაქტიკული ანალიზის უნარებისა და სასწავლო კურსების არჩევანის გაფართოების მიზნით, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას „ბიზნესის ადმინისტრირება“ დაემატა თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები:

✓ **„ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაცია და მდგრადი ეკონომიკა“** (5 კრედიტი, სილაბუსის ავტორები: ასოცირებული პროფესორები: ნ. კაკულია, მ. ჩიქობავა);

✓ **„მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებათა მიღება ბიზნესში“** (5 კრედიტი, არჩევითი კურსი, ჩანაცვლა სასწავლო კურსი „შესავალი ეკონომეტრიკაში“).

✓ **„ფინასური ანგარიშგება“** (5 კრედიტი, სავალდებულო, მოდული „აღრიცხვა, ანალიზი და აუდიტი“); შენიშვნა: „პროფესიონალი ბუღალტრისა და აუდიტორის ეთიკა“ (5 კრედიტი, სავალდებულო) ჩაანაცვლა აღნიშნულმა სასწავლო კურსმა.

საფუძველი: პროგრამის გაფართოება არჩევითი კურსების შეთავაზებით.

➢ <u>ცვლილება: სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილების შესახებ</u>

- **ცვლილების აღწერა:** სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილება განხორციელდა შემდეგ კურსებში:

✓ **„ფინასური ანგარიშგება“** (5 კრედიტი იყო პროგრამის არჩევითი კურსი და გახდა მოდულის „აღრიცხვა, ანალიზი და აუდიტი“ სავალდებულო კურსი.

საფუძველი: პროგრამის მოდულის სავალდებულო კურსების სრულყოფა, სასწავლო კურსის ჩანაცვლება.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის **ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება** (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული, **დანართი № 321)** - წარმოდგენილი ცვლილებებით.

მოისმინეს: 3.5 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, მ. ჩავლეიშვილის ინფორმაცია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის *მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები „ბიზნესის ადმინისტრირება“; „ხელოვნების მენეჯმენტი“, „ადამიანური რესურსების მართვა“, „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“* ცვლილებების შესახებ (საბჭოს წევრებს წინასწარ გაეგზავნათ მასალები საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ);

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი 81)

➢ <u>ცვლილება: პროგრამის სავალდებულო კომპონენტებში (სასწავლო კურსები) განხორციელებული ცვლილება</u>

- **ცვლილების აღწერა:** პროგრამის საერთო სასწავლო კურსებიდან ამოღებულია სავალდებულო სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“ (5 კრედიტი) და „კვლევითი პროექტი“ (5 კრედიტი);

საფუძველი: საბაკალავრო საფეხურზე სამთავრობო გადაწყვეტილებით ვალდებულებაა ქართული ენის სწავლება. გამომდინარე აქედან, ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე ჩაისვა სავალდებულო სასწავლო კურსი „ქართული ენა აკადმიური მიზნებისთვის“. პროგრამის ხელმძღვანელთა ერთობლივი გადაწყვეტილებით პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსი აღარ არის წარმოდგენილი. ასევე მინისტრის ბრძანებით და უმაღლესი განათლების კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, შესაძლებლია გაკეთდეს არჩევანი და აღარ არის ვალდებულება „კვლევითი პროექტის“ შესრულების. პროგრამაში ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას.

➢ <u>ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსებში წინაპირობის ცვლილება</u>

- **ცვლილების აღწერა:** განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ,

✓ **წინაპირობა მოეხსნა:** სავალდებულო სასწავლო კურსებს: **„საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები“, „მენეჯმენტი გლობალურ გარემოში“; „ტალანტების მართვა ორგანიზაციაში“** (კონცენტრაცია - „მენეჯმენტი გლობალურ გარემოში“); **„მარკეტინგული კვლევები“, „საცალო ვაჭრობის მარკეტინგი“, „ბრენდინგი“, „მარკეტინგული ლოგისტიკა“; „მომხმარებელთა ქცევა“** (კონცენტრაცია: მარკეტინგი); **„მასპინძლობის მენეჯმენტი“**(კონცენტრაცია: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი);

✓ **განესაზღვრა წინაპირობა:** სავალდებულო სასწავლო კურსებს: **ციფრული მარკეტინგი, ბიზნეს მარკეტინგი, მომსახურების მარკეტინგი** (მარკეტინგის მენეჯმენტი, კონცენტრაცია: მარკეტინგი); **„ორგანიზაციული კომუნიკაციებისა და მოლაპარაკებების მართვა“** (მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები, კონცენტრაცია - მენეჯმენტი);

✓ **პროფესიული პრაქტიკა** (5 კრედიტი, განესაზღვრა პროგრამის I ნაწილი, სემესტრი 2) შეიცვალა **პრაქტიკის არჩევის წინაპირობა** (30 კრედიტი - პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები); **პრაქტიკის დაცვი წინაპირობა** (პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის ჩაბარება (55 კრედიტის ათვისება);

✓ **სამაგისტრო ნაშრომი** (30 კრედიტი, პროგრამის II ნაწილი)- **სამაგისტრო** ნაშრომის **არჩევის წინაპირობა:** 90 კრედიტი, მ.შ. პროგრამის პირველი ნაწილის შესრულება (60 კრედიტი, მაგისტრის ხარისხი), პროგრამის მეორე ნაწილის 30 კრედიტი. **დაცვაზე დაშვების წინაპირობა:** სამაგისტრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის ათვისება (100 კრედიტი, პროგრამის პირველი ნაწილის ჩათვლით).

საფუძველი: მიმდინარე ცვლილებების ფონზე სასწავლო კურსის გადანაწილებისა და პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე წინაპირობების დაზუსტება

➢ <u>ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებში ცვლილება</u>

- **ცვლილების აღწერა:** განისაზღვრა პროგრამის II ნაწილზე მიღების წინაპირობა, კერძოდ:

✓ სამაგისტრო პროგრამის II ნაწილზე დაშვების წინაპირობაა პროგრამის I ნაწილის გავლა;

✓ საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. აღნიშნულ ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

საფუძველი: მიმდინარე ცვლილებების ფონზე სასწავლო კურსის გადანაწილებისა და პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე წინაპირობების დაზუსტება.

➢ <u>ცვლილება: სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილების შესახებ</u>

- **ცვლილების აღწერა:** სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილება განხორციელდა შემდეგ კურსებში:

✓ **„ორგანიზაციული კომუნიკაციებისა და მოლაპარაკებების მართვა“** (4 კრედიტი, იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო კურსი, კონცენტრაციები: მენეჯმენტი, საჯარო მმართველობა, პროგრამის I ნაწილი);

✓ **„საინვესტიციო პროექტების მართვა“** (5 კრედიტი, იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო (კონცენტრაცია: მენეჯმენტი, პროგრამის I ნაწილი);

✓ **„დროის მენეჯმენტი“** (5 კრედიტი), და **„ლიდერული უნარ-ჩვევები“,** (5 კრედიტი, იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო, კონცენტრაციები: მენეჯმენტი, საჯარო მმართველობა, პროგრამის II ნაწილი);

✓ **„რეგულირების გავლენის შეფასება II“** (5 კრედიტი, იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო, კონცენტრაციები: საჯარო მმართველობა, პროგრამის II ნაწილი);

✓ **„ლიდერობა და ემოციური ინტელექტი“** (5 კრედიტი, იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო, კონცენტრაცია: გლობალურ გარემოში მენეჯმენტი, პროგრამის I ნაწილი);

✓ **„საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები“,** (5 კრედიტი, იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო, კონცენტრაცია: გლობალურ გარემოში მენეჯმენტი, პროგრამის II ნაწილი);

✓ **„შრომისა და დასაქმების სამართალი“,** (5 კრედიტი, იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო, კონცენტრაცია: ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, პროგრამის II ნაწილი);

✓ **შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია,** (5 კრედიტი, იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო, კონცენტრაცია: ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, პროგრამის II ნაწილი);

✓ **რისკების მართვა საბანკო სისტემაში** (5 კრედიტი, იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო, კონცენტრაცია: ფინანსები და საბანკო საქმე, პროგრამის II ნაწილი);

✓ **ფასიანი ქაღალდები და საერთაშორისო ფინანსური ბაზრები,** (5 კრედიტი, იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო, კონცენტრაცია: ფინანსები და საბანკო საქმე, პროგრამის II ნაწილი);

✓ **საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციების რეინჟინერინგი,** (5 კრედიტი, იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო, კონცენტრაცია: ფინანსები და საბანკო საქმე, პროგრამის II ნაწილი);

✓ **ფინანსური რისკების მართვა,** (5 კრედიტი, იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო, კონცენტრაცია: ფინანსები და საბანკო საქმე, პროგრამის II ნაწილი);

✓ **მარკეტინგული არხები** (5 კრედიტი, იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო, კონცენტრაცია: მარკეტინგი, პროგრამის I ნაწილი);

✓ **საზოგადოებასთან ურთიერთობები,** (5 კრედიტი, იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო, კონცენტრაცია: მარკეტინგი, პროგრამის II ნაწილი);

✓ **ინოვაციური ბიზნესი (5 კრედიტი), ელექტრონული ბიზნესი (5 კრედიტი), საერთაშორისო ბიზნესის დიპლომატია (5 კრედიტი),** იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო, კონცენტრაცია: საერთაშორისო ბიზნესი, პროგრამის II ნაწილი);

✓ **ტურიზმის პოლიტიკის ანალიზი, (4 კრედიტი,** იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო, კონცენტრაცია: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, პროგრამის I ნაწილი);

✓ **ტურიზმი და რეგიონული განვითარება, (5 კრედიტი,** იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო, კონცენტრაცია: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, პროგრამის I ნაწილი);

✓ **ხელოვნური ინტელექტი ეკონომიკასა და ბიზნესში, (5 კრედიტი,** იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო, კონცენტრაცია: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი, პროგრამის II ნაწილი);

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამაში მიმდინარე ცვლილებები, კერძოდ, პროგრამის ორ ნაწილად გაყოფა.

➢ <u>ცვლილება: პროგრამის სასწავლო კურსის სახელწოდების დაზუსტების შესახებ</u>

• **ცვლილების აღწერა:** დაზუსტდა სახელწოდება პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები ტურიზმში" და გახდა **„კვლევის მეთოდოლოგია ტურიზმში"** (5 კრედიტი, პროგრამის II ნაწილი)

საფუძველი: სასწავლო კურსის სახელწოდების კორექტირება/დაზუსტება

➢ <u>ცვლილება: კონცენტრაციებში ახალი/ან პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების დამატების (განაწილების) შესახებ</u>

• **ცვლილების აღწერა:** კურსდამთავრებულებისთვის თანამედროვე პრაქტიკული ანალიზის უნარებისა და სასწავლო კურსების არჩევანის გაფართოების მიზნით, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას „ბიზნესის ადმინისტრირება" დაემატა სასწავლო კურსები:

✓ **„კორპორაციული მმართველობა",** (5 კრედიტი, არჩევითი, დაემატა კონცენტრაციებს: მენეჯმენტი, საჯარო მმართველობა, პროგრამის II ნაწილი);

✓ **„ორგანიზაციული განვითარება და ცვლილებების მართვა" და „მმართველობითი მენეჯმენტი",** (5 კრედიტი, არჩევითი, დაემატა კონცენტრაციას: მენეჯმენტი, პროგრამის II ნაწილი);

✓ **პროფესიონალი ბუღალტრისა და აუდიტორის ეთიკა,** (5 კრედიტი, სავალდებულო, დაემატა კონცენტრაციას: აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტი, პროგრამის I ნაწილი);

✓ **ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრია 4.0** (5 კრედიტი, არჩევითი, დაემატა კონცენტრაციას: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, პროგრამის II ნაწილი);

✓ **პრემიუმ მომსახურების კულტურა და სტრატეგიები მასპინძლობაში,** (5 კრედიტი, სავალდებულო, დაემატა კონცენტრაციას: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, პროგრამის II ნაწილი);

✓ **ტრანსფორმაცია და ტექნოლოგიების მართვა ორგანიზაციებში,** (5 კრედიტი, სავალდებულო, დაემატა კონცენტრაციას: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი, პროგრამის I ნაწილი);

✓ **ბიზნეს მონაცემთა ანალიზი და მართვა Python-ის გამოყენებით,** (5 კრედიტი, არჩევითი, დაემატა კონცენტრაციას: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი, პროგრამის II ნაწილი);

✓ **ციფრული ტექნოლოგიები და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები,** (5 კრედიტი, არჩევითი, დაემატა კონცენტრაციას: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი, პროგრამის II ნაწილი);

✓ **ბიზნესში მონაცემთა ანალიზი და მოდელირება Excel-ის გარემოში,** (5 კრედიტი, სავალდებულო, დაემატა კონცენტრაციას: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი, პროგრამის I ნაწილი);

✓ **მონაცემთა კვლევა და ანალიზი SPSS-ის გარემოში,** (5 კრედიტი, სავალდებულო, დაემატა კონცენტრაციას: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი, პროგრამის II ნაწილი);

✓ **პრემიუმ მომსახურების კულტურა და სტრატეგიები მასპინძლობაში,** (5 კრედიტი, სავალდებულო, დაემატა კონცენტრაციას: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, პროგრამის II ნაწილი);

საფუძველი: პროგრამის კონცენტრაციების გაფართოება ახალი და პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების შეთავაზებით.

➢ <u>ცვლილება: პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსების მოდიფიცირება და კრედიტების მოცულობის ცვლილება</u>

• **ცვლილების აღწერა:** კრედიტების ცვლილებები შეეხო პროგრამის შემდეგ სასწავლო კურსებში:

✓ **რისკ მენეჯმენტი** (5 კრედიტი, სავალდებულო კურსი, კონცენტრაცია: მენეჯმენტი, იყო 6 გახდა 5 კრედიტი, პროგრამის II ნაწილი);

✓ **ანტიკრიზისული მენეჯმენტი,** (5 კრედიტი, სავალდებულო კურსი, კონცენტრაცია: მენეჯმენტი, იყო 4 გახდა 5 კრედიტი, პროგრამის II ნაწილი);

✓ **ორგანიზაციული კომუნიკაციებისა და მოლაპარაკებების მართვა,** (4 კრედიტი, სავალდებულო კურსი, კონცენტრაცია: მენეჯმენტი, იყო 5 გახდა 4 კრედიტი, პროგრამის I ნაწილი);

✓ **ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა,** (6 კრედიტი, სავალდებულო კურსი, კონცენტრაცია: მენეჯმენტი, იყო 5 გახდა 6 კრედიტი, პროგრამის I ნაწილი);

✓ **სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობა,** (5 კრედიტი, სავალდებულო კურსი, კონცენტრაცია: საჯარო მმართველობა, იყო 6 გახდა 5 კრედიტი, პროგრამის I ნაწილი);

✓ **პროგრამები და პროექტების მართვა,** (5 კრედიტი, სავალდებულო კურსი, კონცენტრაცია: საჯარო მმართველობა, იყო 4 გახდა 5 კრედიტი, პროგრამის II ნაწილი);

✓ **ორგანიზაციული კომუნიკაციებისა და მოლაპარაკებების მართვა,** (4 კრედიტი, სავალდებულო კურსი, კონცენტრაცია: საჯარო მმართველობა, იყო 5 გახდა 4 კრედიტი, პროგრამის I ნაწილი);

✓ **კორპორაციული მართვა საბანკო სისტემაში,** (6 კრედიტი, სავალდებულო კურსი, კონცენტრაცია: ფინანსები და საბანკო საქმე, იყო 5 გახდა 6 კრედიტი, პროგრამის I ნაწილი);

✓ **საგადასახადო დაგეგმვა,** (5კრედიტი, სავალდებულო კურსი, კონცენტრაცია: ფინანსები და საბანკო საქმე, იყო 6 გახდა 5 კრედიტი, პროგრამის I ნაწილი);

✓ **კორპორაციული ანგარიშგება,** (5კრედიტი, სავალდებულო კურსი, კონცენტრაცია: აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტი, იყო 5 გახდა 10 კრედიტი, პროგრამის II ნაწილი);

✓ **გადასახადების აღრიცხვა და ანგარიშმგებლობა,** (4 კრედიტი, სავალდებულო კურსი, კონცენტრაცია: აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტი, იყო 5 გახდა 4 კრედიტი, პროგრამის II ნაწილი);

✓ **მასპინძლობის მენეჯმენტი,** (8 კრედიტი, სავალდებულო კურსი, კონცენტრაცია: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, იყო 10 გახდა 8 კრედიტი, პროგრამის I ნაწილი);

✓ **ტურისტული დანიშნულების ადგილების მენეჯმენტი,** (4 კრედიტი, სავალდებულო კურსი, კონცენტრაცია: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, იყო 6 გახდა 4 კრედიტი, პროგრამის I ნაწილი);

✓ **ტურიზმის პოლიტიკის ანალიზი,** (4 კრედიტი, სავალდებულო კურსი, კონცენტრაცია: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, იყო 5 გახდა 4 კრედიტი, პროგრამის I ნაწილი);

✓ **პროფესიონალი ბუღალტრისა და აუდიტორის ეთიკა,** (5 კრედიტი, სავალდებულო, კონცენტრაციას: აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტი, პროგრამის I ნაწილი); განახლდა სასწავლო კურსის სილაბუსი;

✓ **„მარკეტინგული კვლევები“,** (6 კრედიტი) კონცენტრაცია: მარკეტინგი, სავალდებულო, (იყო 10 კრედიტი გახდა 6).

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამაში მიმდინარე ცვლილებები, კერძოდ, პროგრამის ორ ნაწილად გაყოფა, სასწავლო კურსების მოდიფიცირება და ცვლილებების განხორციელება.

- <u>ცვლილება: კონცენტრაციებში ახალი/ან პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების ამოღების შესახებ</u>
- **ცვლილების აღწერა: კონცენტრაციებიდან „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი“,** ამოღებულ იქნა შემდეგი სასწავლო კურსი: **„საწარმოო რესურსების მართვის სისტემა“** (არჩევითი)

საფუძველი: სასწავლო კურსების ჩანაცვლება, პროგრამის კონცენტრაციების მოთხოვნადი ახალი სასწავლო კურსების შეთავაზებით.

➢ <u>ცვლილება: პროგრამის სასწავლო კურსების სემესტრული ცვლილება</u>

- **ცვლილების აღწერა:** პროგრამის მიზნებიდან და შედეგებიდან, ასევე მიმდინარე ცვლილებებიდან გამომდინარე განხორციელდა სასწავლო კურსებში სემესტრული ცვლილებები:

✓ **სავალდებულო სასწავლო კურსებს - „კვლევის მეთოდები“(5 კრედიტი), კვლევის მეთოდები ბიზნესში (5 კრედიტი), მარკეტინგული კვლევები (5 კრედიტი), „კვლევის მეთოდოლოგია ტურიზმში“ (5 კრედიტი), „კვლევის მეთოდები ინფორმაციულ მენეჯმენტში“ (6 კრედიტი) - ყველა კონცენტრაციისთვის განესაზღვრა პროგრამის II ნაწილი;**

✓ **„პროფესიული პრაქტიკა“, 5 კრედიტი, სავალდებულო, განესაზღვრა პროგრამის I ნაწილი;**

შენიშვნა: სემესტრული ცვლილება შეეხო კონცენტრაციების სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, რომელთა გადანაწილება წარმოდგენილია პროგრამის სტრუტურაში. (იხ პროგრამის სტრუქტურა)

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი“ (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი 317)

➢ **ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსების განახლება/მოდიფიცირება.**

- **ცვლილების აღწერა:** განხორციელდა სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსში "შემაჯამებელი პროექტი" ცვლილება, კერძოდ, სილაბუსის დანართში №1 სასწავლო კურსის შინაარსში განხორციელდა ტექნიკური ხარვეზის შესწორება და შინაარსი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: შემაჯამებელი პროექტის აპრობაცია (წინასწარი განხილვა) და კომისიაზე საჯარო დაცვა განხორციელდება სასწავლო პროცესის ვადების შესაბამისად (და არა 16-19 კვირას).

საფუძველი: შემაჯამაბელი პროექტის აპრობაცია (წინასწარი განხილვა) და საჯარო დაცვის ვადების დაზუსტება.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ადამიანური რესურსების მართვა“ (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი 302)

➢ **ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსების განახლება/მოდიფიცირება.**

- **ცვლილების აღწერა:** განხორციელდა სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსში "შემაჯამაბელი პროექტი" ცვლილება, კერძოდ, სილაბუსის დანართში №1 სასწავლო კურსის შინაარსში განხორციელდა ტექნიკური ხარვეზის შესწორება და შინაარსი ჩასმოყალიბდა შემდეგნაირად: შემაჯამაბელი პროექტის აპრობაცია (წინასწარი განხილვა) და კომისიაზე საჯარო დაცვა განხორციელდება სასწავლო პროცესის ვადების შესაბამისად (და არა 16-19 კვირას).

საფუძველი: შემაჯამებელი პროექტის აპრობაცია (წინასწარი განხილვა) და საჯარო დაცვის ვადების დაზუსტება.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“ (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი 311)

➢ **ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსების განახლება/მოდიფიცირება.**

- **ცვლილების აღწერა:** განხორციელდა სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსში "პროფესიული (პრაქტიკული) ნაშრომი" ცვლილება, კერძოდ,

სილაბუსის დანართში №1 სასწავლო კურსის შინაარსში განხორციელდა ტექნიკური ხარვეზის შესწორება და შინაარსი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: "პროფესიული (პრაქტიკული) ნაშრომის" აპრობაცია (წინასწარი განხილვა) და კომისიაზე საჯარო დაცვა განხორციელდება სასწავლო პროცესის ვადების შესაბამისად (და არა 16-19 კვირას).

საფუძველი: "პროფესიული (პრაქტიკული) ნაშრომის" აპრობაცია (წინასწარი განხილვა) და საჯარო დაცვის ვადების დაზუსტება.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა მ. ჩავლეიშვილმა აღნიშნა, რომ მაგისტრატურის აღმასრულებელი პროგრამების (ხელოვნების მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მართვა, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში) სასწავლო კურსის სილაბუსებში - შემაჯამებელი პროექტი (პროფესიული / პრაქტიკული პროექტი - დაშვებული ტექნიკური ხარვეზის შესწორება არ მოითხოვს შესაბამისი პროგრამების სტრუქტურაში ცვლილებებს. გამომდინარე აქედან, ცვლილება მიიღება მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტისა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **ბიზნესის ადმინისტრირების** საგანმანათლებლო პროგრამებში

- **ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო** პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული, **დანართი № 81),**
- **ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილება, **დანართი №317),**
- **ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება №57/2011, **დანართი №302);**
- **ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის

დადგენილება №57/2011, **დანართი №311);** - წარმოდგენილი ცვლილებები.

მოისმინეს: 3.6 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის მ. ჩავლეიშვილის ინფორმაცია *ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში „ფინანსები“* **(ინგლისურენოვანი)** ცვლილებების შესახებ (საბჭოს წევრებს წინასწარ გაეგზავნათ მასალები საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შესახებ);

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სამაგისტრო პროგრამა „ფინანსები“ (ინგლისურენოვანი) (აკადემიური საბჭოს #106/2021; 29/11/2021 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №306)

ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფინანსები“ მოდიფიცირება განხორციელდა უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში, რომელიც ეფუძნება მაგისტრატურის ორსაფეხურიან (60+60 კრედიტიან) მოდელზე გადასვლას. აღნიშნული ცვლილების შედეგად პროგრამაში არ განხორციელებულა შინაარსობრივი და კონცეპტუალური ხასიათის ძირეული ცვლილებები. კერძოდ, არსებული პროგრამის აღწერილობა და კურიკულუმი გადანაწილდა ორ 60-კრედიტიან პროგრამად - ნაწილი I მისანიჭებელი კვალიფიკაცია "ფინანსების მაგისტრი/Master of Finance" და ნაწილი II მისანიჭებელი კვალიფიკაცია "ფინანსების კვლევის მაგისტრი/Research Master of Finance".
პროგრამის ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბებამ განაპირობა ორი მნიშვნელოვანი ცვლილების განხორციელება, რომელთაგან თითოეული ცვლილება დეტალურად არის აღწერილი ქვემოთ.

ა) <u>ცვლილება: სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობისა და ტრიმესტრის ცვლილება</u>

✓ **<u>ცვლილების აღწერა:</u>** სავალდებულო სასწავლო კურსის -"შემაჯამებელი პროექტი" ("Capstone Project") კრედიტების რაოდენობა გაიზარდა 5-დან 7-მდე და გადატანილია ძველი პროგრამის მე-5 ტრიმესტრიდან მე-3 ტრიმესტრში (ე.ი. ახალი პროგრამის მიხედვით ისწავლება - ნაწილი I-ში), ხოლო სავალდებულო კურსი „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 3 - მონაცემთა ვიზუალიზაცია“ მე-3 ტრიმესტრიდან გადავიდა მე-5 ტრიმესტრში (ე.ი ახალი პროგრამის მიხედვით ისწავლება - ნაწილი II-ში).

✓ **<u>საფუძველი:</u>** უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში მაგისტრატურის ორსაფეხურიან (60+60 კრედიტიან) მოდელზე გადასვლამ განაპირობა პროგრამის სტრუქტურული მოდიფიცირების საჭიროება, კერძოდ: პროგრამის პირველი 60 კრედიტი (ნაწილი I) ორიენტირებულია პროფესიული კომპეტენციების განვითარებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ხოლო მეორე 60 კრედიტი (ნაწილი II) -აკადემიურ-კვლევითი უნარების გაღრმავებაზე. შემაჯამებელი პროექტი/Capstone Project გახდა პროგრამის I ნაწილის დამასრულებელი პრაქტიკული კომპონენტი, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ინტეგრირებისა და პროფესიული კომპეტენციების შეფასების შესაძლებლობა. ამ კურსის გაზრდილი აკადემიური და პრაქტიკული მნიშვნელობის შესაბამისად და სტუდენტური დატვირთვის უკეთ ასახვის მიზნით, „შემაჯამებელი პროექტის" კრედიტების რაოდენობა გაიზარდა 5-დან 7 კრედიტამდე.

<u>*ბ) ცვლილება:* ორი სავალდებულო სასწავლო კურსის გაერთიანება</u>

✓ **<u>ცვლილების აღწერა:</u>** სავალდებულო სასწავლო კურსების „ინგლისური - აკადემიური წერა" და „პროფესიული კომუნიკაციის უნარები ბიზნესსა და ფინანსებში" შერწყმა/გაერთიანება. მოხდა აღნიშნული სასწავლო კურსების შინაარსობრივი ინტეგრაცია და მათი გაერთიანება ერთ 5-კრედიტიან სავალდებულო კურსად ახალი სახელწოდებით - „აკადემიური წერა და პროფესიული კომუნიკაციის უნარები".

✓ **საფუძველი:** ცვლილება გამოიწვია პროგრამაში *სტრუქტურულმა* საჭიროებამ, კერძოდ შემაჯამებელი პროექტისთვის/Capstone Project კრედიტების რაოდენობის გაზრდამ. მისი „შემაჯამებელი" როლის უზრუნველსაყოფად საჭიროა ყველა სავალდებულო საგნის (მათ შორის აკადემიური წერისა და კომუნიკაციების) წარმატებით დასრულება. მეორეს მხრივ, მოცემული ორი კურსის გაერთიანება ერთ „აკადემიური წერა და პროფესიული კომუნიკაციის უნარების" კურსად სრულიად ლოგიკურია, თანმიმდევრულია და უზრუნველყოფს როგორც აკადემიური, ისე პროფესიული წერითი და საკომუნიკაციო უნარების განვითარების ერთიან და თანმიმდევრულ მიდგომას.

<u>**გ) ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებში ცვლილება**</u>

✓ **ცვლილების აღწერა:** განისაღვრა პროგრამის II ნაწილზე მიღების წინაპირობა, კერძოდ:

- სამაგისტრო პროგრამის II ნაწილზე დაშვების წინაპირობაა პროგრამის I ნაწილის გავლა;

- საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. აღნიშნულ ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

✓ **საფუძველი:** მიმდინარე ცვლილებების ფონზე სასწავლო კურსის გადანაწილებისა და პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე წინაპირობების დაზუსტება.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის **საერთაშორისო სკოლის (ISET) სამაგისტრო პროგრამა „ფინანსები" (ინგლისურენოვანი)** (აკადემიური საბჭოს #106/2021; 29/11/2021 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №306) - წარმოდგენილი ცვლილებებით

მოისმინეს: 3.7 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის მ. ჩავლეიშვილის ინფორმაცია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის *მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმი"* ცვლილებების შესახებ (საბჭოს წევრებს წინასწარ გაეგზავნათ მასალები საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შესახებ);

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმი" (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი 211)

➢ <u>ცვლილება: სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილების შესახებ</u>

- **ცვლილების აღწერა:** სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილება განხორციელდა შემდეგ კურსებში:

✓ **"ინვესტირება სასტუმრო ინდუსტრიაში"** (5 კრედიტი, იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო (განესაზღვრა პროგრამის II ნაწილი);

✓ **„ტურიზმის პოლიტიკის ანალიზი“** (4 კრედიტი, იყო არჩევითი კურსი და გახდა სავალდებულო (განესაზღვრა პროგრამის II ნაწილი).

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამაში მიმდინარე ცვლილებები, კერძოდ, პროგრამის ორ ნაწილად გაყოფა.

➢ <u>ცვლილება: პროგრამაში სასწავლო კურსების დამატების შესახებ</u>

- **ცვლილების აღწერა:** კურსდამთავრებულებისთვის თანამედროვე პრაქტიკული ანალიზის უნარებისა და სასწავლო კურსების არჩევანის გაფართოების მიზნით, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას „ტურიზმი“ დაემატა არჩევითი სასწავლო კურსი:

✓ **„ხელოვნური ინტელექტი და ციფრული ტრანსფორმაცია ტურიზმში“** (5 კრედიტი, არჩევითი კურსი) განესაზღვრა პროგრამის I ნაწილი);

✓ **"სასტუმრო ოპერაციების მართვა ციფრულ გარემოში"** (5 კრედიტი, არჩევითი კურსი) განესაზღვრა პროგრამის II ნაწილი);

საფუძველი: პროგრამის გაფართოება ახალი და პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების შეთავაზებით.

➢ <u>ცვლილება: პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსების მოდიფიცირება და კრედიტების მოცულობის ცვლილება</u>

- **ცვლილების აღწერა:** კრედიტების ცვლილებები შეეხო პროგრამის შემდეგ სასწავლო კურსებში:

✓ **„ფინანსური მენეჯმენტი მასპინძლობასა და ტურიზმში“** (6 კრედიტი, იყო 5 კრედიტი, განესაზღვრა პროგრამის II ნაწილი) გახდა 6 კრედიტი

✓ **„ტურიზმის პოლიტიკის ანალიზი“** (4 კრედიტი, სავალდებულო კურსი, იყო 5 კრედიტი, განესაზღვრა პროგრამის II ნაწილი)

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამაში მიმდინარე ცვლილებები.

➢ <u>ცვლილება: პროგრამის სასწავლო კურსების სემესტრული ცვლილება</u>

- **ცვლილების აღწერა:** პროგრამის მიზნებიდან და შედეგებიდან, ასევე მიმინარე ცვლილებებიდან გამომდინარე განხორციელდა სასწავლო კურსებში სემესტრული ცვლილებები:

✓ **„კვლევის მეთოდოლოგია ტურიზმში“,** 5 კრედიტი, სავალდებულო სასწავლო კურსს განესაზღვრა პროგრამის II ნაწილი;

✓ **„პროფესიული პრაქტიკა“** (10 კრედიტი, სავალდებულო, განესაზღვრა პროგრამის I ნაწილი)

✓ **„სტატისტიკური ანალიზი ტურიზმში“** (5 კრედიტი, სავალდებულო კურსი) განესაზღვრა პროგრამის II ნაწილი);

შენიშვნა: სემესტრული ცვლილება შეეხო კონცენტრაციების სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, რომელთა გადანაწილება წარმოდგენილია პროგრამის სტრუტურაში. (იხ პროგრამის სტრუქტურა)

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამაში მიმდინარე ცვლილებები, კერძოდ, პროგრამის ორ ნაწილად გაყოფა

➢ <u>ცვლილება: პროგრამის სავალდებულო კომპონენტებში (სასწავლო კურსები) განხორციელებული ცვლილება</u>

- **ცვლილების აღწერა:** პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებიდან ამოღებულია სასწავლო **„კვლევითი პროექტი"** (5 კრედიტი);

საფუძველი: მინისტრის ბრძანებით და უმაღლესი განათლების კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, შესაძლებლია გაკეთდეს არჩევანი და აღარ არის ვალდებულება „კვლევითი პროექტის" შესრულება. პროგრამა ითვალიწინებს მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას.

➢ <u>ცვლილება: პროგრამის სასწავლო კურსის სახელწოდების დაზუსტების შესახებ</u>

- **ცვლილების აღწერა:** დაზუსტდა სახელწოდება შემდეგ სასწავლო კურსებში:

✓ პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსის „ღონისძიებათა ტურიზმის მენეჯმენტი" და გახდა **„ღონისძიებათა ტურიზმი"** (5 კრედიტი, პროგრამის II ნაწილი);

✓ სავალდებულო სასწალო კურსს „კვლევის მეთოდები ტურიზმში" (5 კრედიტი) შეეცვალა სახელწოდება **„კვლევის მეთოდოლოგია ტურიზმში",** პროგრამის II ნაწილი).

საფუძველი: სასწავლო კურსის სახელწოდების კორექტირება.

➢ <u>ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსებში წინაპირობის ცვლილება</u>

- **ცვლილების აღწერა:** განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ,

✓ **პროფესიული პრაქტიკა** (10 კრედიტი, განესაზღვრა პროგრამის I ნაწილი, სემესტრი 2) შეიცვალა **პრაქტიკის არჩევის წინაპირობა** (30 კრედიტი - პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები); **პრაქტიკის დაცვის წინაპირობა** (პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის ჩაბარება (50 კრედიტის ათვისება);

✓ **სამაგისტრო ნაშრომი** (30 კრედიტი, პროგრამის II ნაწილი)- **სამაგისტრო** ნაშრომის **არჩევის წინაპირობა:** 90 კრედიტი, მ.შ. პროგრამის პირველი ნაწილის შესრულება (60 კრედიტი, მაგისტრის ხარისხი), პროგრამის მეორე ნაწილის 30 კრედიტი. **დაცვაზე დაშვების წინაპირობა:** სამაგისტრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის ათვისება (100 კრედიტი, პროგრამის პირველი ნაწილის ჩათვლით)

საფუძველი: მიმდინარე ცვლილებების ფონზე სასწავლო კურსის გადანაწილებისა და პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე წინაპირობების დაზუსტება

➢ <u>ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებში ცვლილება</u>

- **ცვლილების აღწერა:** განისაზღვრა პროგრამის II ნაწილზე მიღების წინაპირობა, კერძოდ:

  ✓ სამაგისტრო პროგრამის II ნაწილზე დაშვების წინაპირობაა პროგრამის I ნაწილის გავლა;

  ✓ საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. აღნიშნულ ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

  საფუძველი: მიმდინარე ცვლილებების ფონზე სასწავლო კურსის გადანაწილებისა და პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე წინაპირობების დაზუსტება.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **ტურიზმის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში** (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული **დანართი №211)** - წარმოდგენილი ცვლილებები.

მიმდინარე საკითხები:

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა **მერაბ ხოხობაიამ** მადლობა გადაუხადა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებულ ცვლილებებში აქტიური ჩართულობისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ იწყება ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესი, რაც მნიშვნელოვანი იქნება ფაკულტეტის განვითარებისა და გაძლიერებისათვის.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხოხობაია**

მდივანი, ასოცირებული პროფესორი **ლ. თუნელაძე**